

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის შეფასება

ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში საჯარო სექტორში დასაქმებული ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის მაგალითზე

თათია რთველაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ასოცირებული პროფესორი, ნინო დოლიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

*როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს
ორიგანალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ,
გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში
არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

თათია რთველაძე

10.07.2020

აბსტრაქტი

დემოკრატიის პრინციპებზე დამყარებული საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია მულტიკულტურულ სივრცეში საქართველოს მოქალაქე ყველა ეთნოსის წარმომადგენლის უფლებების დაცვისკენ. ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესი საქართველოში უკვე მრავალი წელია რაც მიმდინარეობს. მათ შორის აღსანიშნავია სახელმწიფო პროგრამების, სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო ადმინისტრირების სკოლა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, (1+4) როლი, რაც ხელს უწყობს სახელმწიფო ენის შესწავლას და განათლების მიღების შესაძლებლობას საქართველოში. თუმცა ამის მიუხედავად, დღეისათვის კვლავ მრავალი გამოწვევა არსებობს ამ კუთხით მთელს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, რაც მთლიანობაში ნეგატიურად ისახება ეთნიკური უმცირესობების ჩართულობასა და მონაწილეობაზე ქვეყნის სოციალურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

კვლევა მიზნად ისახავს, განსაზღვროს საქართველოს მოქალაქე ეთნიკურად აზერბაიჯანელი და ეთნიკურად სომეხი საჯარო მოხელეების ინტეგრაცია, ასევე მიმოიხილოს თუ რა როლს თამაშობს ქართული ენის ცოდნა საჯარო მოხელის თანამდებობაზე მიღების, მობილობის, პროფესიული და კარიერული განვითარების შემთხვევებში. კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები.

ინტეგრაციის დონის ოთხი ძირითადი მახასიათებლის ძიებით დადგინდა, რომ ქართული ენის ცოდნა განსაზღვრავს ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, რაც აძლევს შესაძლებლობას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს დასაქმდნენ საჯარო მოხელის თანამდებობაზე, გამოიყენონ საჯარო სამსახურის მობილობა და განვითარდნენ როგორც პროფესიულად, ასევე კარიერის მხრივ. აღნიშნული ფაქტორების მიხედვით დადგინდა, რომ საჯარო მოხელე ეთნიკური უმცირესობები კვლავ მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან. ამიტომ, აუცილებელია სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერება, რომელიც

უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, არსებული სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამების ეფექტიანობის ზრდას და, მეორე მხრივ, მკაცრად გააკონტროლებს და აღასრულებს საჯარო სამსახურში მიღების კანონს სახელმწიფო ენის ცოდნის მიხედვით.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ნათელი გახდა, რომ აუცილებელია მოხდეს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის დონის ზრდა საჯარო სამსახურებში მათი დასაქმების შესაძლებლობების ზრდით, ხოლო უკვე დასაქმებულ საჯარო მოხელეთა სრული ინტეგრაციისთვის აუცილებელია მოხდეს მათი ინტენსიური გადამზადება როგორც ენის, ასევე პროფესიული კუთხით, რაც მთლიანობაში ხელს შეუწყობს როგორც საჯარო მოხელის პროფესიულ ზრდას, ისე სახელმწიფოს ინტერესების დაცვას საქართველოს თოთოეული მოქალაქის ინტერესის დაცვით განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ეთნიკური უმცირესობები, ინტეგრაცია, სახელმწიფო პოლიტიკა, საჯარო პოლიტიკა, საჯარო მოხელე.

Abstract

Georgia's state policy, based on the principles of democracy, aims at protecting the rights of all ethnic Georgian citizens in a multicultural environment. The process of integration of ethnic minorities in Georgia has been ongoing for many years. The role of state programs (LEPL Zurab Zhvania School of Public Administration, and the educational program of the Georgian language, 1 + 4) is significant in promoting the learning of the state language and study opportunities in Georgia. Nevertheless, there are still many challenges in this regard which as a whole has a negative impact on the involvement and participation of ethnic minorities in the social and political life of the country.

The aim of my research is to determine the integration of Georgian citizen ethnic Azerbaijani and ethnic Armenian public servants, as well as to review the role of knowledge of the Georgian language in public employment, mobility, professional and career development. Qualitative and quantitative methods were used in my study.

Searching for the four main characteristics of the level of integration found that knowledge of the Georgian language determines one of the main factors that allows ethnic minorities to be employed as public servants, use mobility right and develop professionally and advance in their careers. Based on these factors, it has been established that ethnic minorities are still facing many challenges. Therefore, it is necessary to strengthen the state policy, which will increase the efficiency of existing state language learning programs and help enforce the law on acquiring jobs in the public sector according to state language knowledge.

Based on the results of my study, it became clear that it is necessary to increase the level of integration of ethnic minorities by increasing their employment opportunities in the public sector. For the full integration of already employed public servants, it is necessary to train them intensively. When these recommendations are fully adopted, this will contribute to the

professional growth of the public servants, and meet the state interests' of promoting the interests of every citizen of Georgia, regardless of their ethnic origin.

Keywords: Ethnic minorities, integration, state policy, public policy, public servant.

მადლობა

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ნინო დოლიძეს, კვლევის პროცესში აქტიური მხარდაჭერისთვის, ღირებული რჩევებისთვისა და რეკომენდაციებისთვის.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ კობა ჟღენტს, ბოლნისის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსს, ქალბატონ მარიკო წიქორიძეს, ჟურნალისტს, დოკუმენტალისტს, CENN-ის პროექტების კოორდინატორს, ბატონ გიორგი ანდლულაძეს, არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატ მესხთა კავშირის“ აღმასრულებელ დირექტორს და ივლიტა ლობჯანიძეს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული თბილისის ახალგაზრდული ცენტრის კოორდინატორს კომპეტენტური და სანდო ინფორმაციის გაზიარებისთვის. ასევე დიდ მადლობას ვუხდით კვლევაში მონაწილე თითოეულ საჯარო მოხელეს ღიაობისთვისა და გულწრფელი პასუხებისთვის.

მადლობას ვუხდით ოჯახის წევრებს, მეგობრებსა და თანამშრომლებს განსაკუთრებული ხელშეწყობისთვის პანდემიის პერიოდში.